III ცირკულარული წერილი კონფერენციის მონაწილეთა საყურადღებოდ!!!

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
საერთაშორისო კონფერენციის -
„ჰუმანიტარული მეცნიერებები ინფორმაციულ საზოგადოებაში-II“-
მონაწილეთა საყურადღებოდ!

პატივცემულო კოლეგებო,

გაცნობებთ, რომ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მიერ ორგანიზებული საერთაშორისო კონფერენციის - „ჰუმანიტარული მეცნიერებები ინფორმაციულ საზოგადოებაში-II“ – პროგრამა განთავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე 2014 წლის 10 ოქტომბერს (bsu.edu.ge/კონფერენციები). გთხოვთ, ნებისმიერი უზუსტობის შესახებ გვაცნობოთ 13 ოქტომბრამდე.

მათ, ვისაც ჯერ კიდევ არ შეგისრულებიათ II ცირკულარული წერილით გათვალისწინებული მოთხოვნები, გთხოვთ, უმოკლეს ვადაში გადმოგვიგზავნოთ აბსტრაქტის ინგლისური თარგმანი, გადმორიცხოთ კონფერენციის სარეგისტრაციო თანხა და შეგვატყობინოთ, თუ გსურთ, სასტუმროს დაჯავშნა ბათუმში (რიცხვების მითითებით).

გაცნობებთ, ასევე, რომ ჩვენი კონფერენციის სპონსორის, აჭარის ა/რ განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მოთხოვნით, კონფერენციის მასალები უნდა დაიბეჭდოს მიმდინარე წლის დეკემბერში. შესაბამისად, მოხსენების ტექსტი უნდა ჩააბაროთ კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტს კონფერენციის დამთავრებისთანავე. წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენი სტატია ვერ დაიბეჭდება კონფერენციის მასალებში.

მოთხოვნები სტატიის გაფორმებასთან დაკავშირებით:

- მოცულობა - მაქსიმუმ 5 გვერდი (გვერდები არ დანომროთ);
- შრიფტები: AkadNusx (ქართულისთვის) და Times New Roman (უცხოურისთვის);
- სათაურის შრიფტის ზომა-14 (გამუქებული, სწორი);
- სათაურის შემდეგ მიუთითეთ: სახელი, გვარი; ინსტიტუცია, თანამდებობა (12, გამუქებული, დახრილი);
- ტექსტის შრიფტის ზომა - 12 (სწორი), ტექსტის კიდეები გასწორებული ორივე მხარეს;
- ინტერვალი - 1,5;

- აბზაცი - შეწეული 1 სმ;
- ველები: ზედა – 2 სმ, ქვედა – 2 სმ, მარცხენა – 2,5 სმ, მარჯვენა – 2 სმ;
- შენიშვნები - სქოლიოში, ნუმერაცია -აღმავალი;
- წყაროს მითითება ტექსტში, ნიმუში: (გიორგაძე 2003: 99);
- ბიბლიოგრაფია - ტექსტის ბოლოში; წიგნის ავტორის, სათაურის, გამოცემის ადგილისა და გამომცემლობის მითითებით); სერიული გამოცემისთვის - ჟურნალის დასახელება, სერია, ნომერი,გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; ელემენტები გამოყავით წერტილებით.

საერთაშორისო კონფერენციის,-„ჰუმანიტარული მეცნიერებები ინფორმაციულ საზოგადოებაში-II“,- საორგანიზაციო კომიტეტი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ელფოსტა: marinagiorgadze@bsu.edu.ge
ტელ.: 577 17 97 99; 599 56 36 49